DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.04

სვანეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესში (1918–1921)

SVANETI IN THE PROCESS OF STATE-BUILDING IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918–1921)

LELA SARALIDZE
Institute for Regionalism Studies, Doctor of History
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0008-5173-7906
lelasaralidze@yahoo.com
+995 593 668217

Abstract. This article examines the principal political, administrative, socio-economic, and cultural aspects of the development of Svaneti during the existence of the Democratic Republic of Georgia (1918–1921). The study is based on the proceedings of the Constituent Assembly of Georgia, contemporary periodicals, archival documents, and memoirs, enabling a comprehensive assessment of the regional policy pursued by the government of the Democratic Republic of Georgia toward Svaneti and the identification of its principal priorities. The article analyses the establishment of local self-government institutions (erobas), the participation of the local population in democratic elections, the functioning of the state administration, and the measures implemented to facilitate the integration of the region into the common state framework. Particular attention is devoted to the reforms planned and implemented to strengthen regional administration, ensure public security, and promote the development of transport infrastructure, education, healthcare, communications, and the local economy. The study also examines the government's efforts to establish an effective system of governance that took into account local traditions and the needs of the population, while fostering the region's sustainable development. The research demonstrates that the policies of the government of the Democratic Republic of Georgia enjoyed substantial support among the population of Svaneti, preventing Bolshevik propaganda from establishing a broad social base in the region. Furthermore, it shows that the government regarded the development of mountainous regions as an integral component of state-building and attached particular importance to the socio-economic advancement of Svaneti and its full integration into the political, economic, and cultural life of the country. The article concludes that, despite severe domestic and external challenges, the government of the Democratic Republic of Georgia laid the foundations for significant processes of modernization and regional

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

development in Svaneti, the natural continuation of which was brought to an end by the Soviet occupation of Georgia in 1921.

Keywords: *Svaneti; Democratic Republic of Georgia; Local Self-Government; Egnate Gabliani; Grigol Tsintsabadze; Solomon Vadachkoria.*

ლელა სარალიძე
რეგიონალიზმის კვლევის ისტიტუტი, ისტორიის დოქტორი;
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0008-5173-7906
lelasaralidze@yahoo.com
+995 593 668217

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია სვანეთის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი ასპექტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) არსებობის პერიოდში. კვლევა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებს, იმდროინდელ პერიოდულ პრესას, საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ წყაროებს ეფუძნება, რაც შესაძლებლობას იძლევა სვანეთის მიმართ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკა კომპლექსურად შეფასდეს და გამოიკვეთოს მისი ძირითადი პრიორიტეტები. სტატიაში გაანალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (ერობების) ფორმირების პროცესი, მოსახლეობის მონაწილეობა დემოკრატიულ არჩევნებში, სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობა და რეგიონის საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება რეგიონში ადმინისტრაციული მმართველობის გაძლიერების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, გზების, განათლების, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ რეფორმებს ეთმობა. ასევე განხილულია ხელისუფლების მცდელობა, ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ეფექტიანი მმართველობის სისტემა შეექმნა და რეგიონის მდგრადი განვითარება უზრუნველეყო. კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას სვანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა, რის გამოც ბოლშევიკურმა პროპაგანდამ რეგიონში ფართო სოციალური დასაყრდენის შექმნა ვერ შეძლო. ამასთანავე, ნაჩვენებია, რომ ხელისუფლება მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას სახელმწიფოებრივი მშენებლობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა და განსაკუთრებულ ყურადღებას სვანეთის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლასა და ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მის სრულფასოვან ჩართვას უთმობდა. დასკვნის სა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ხით ხაზგასმულია, რომ მიუხედავად რთული შიდა და საგარეო პოლიტიკური ვითარებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა სვანეთის მოდერნიზაციისა და რეგიონული განვითარების მნიშვნელოვან პროცესებს, რომელთა ბუნებრივი განვითარება 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შედეგად შეწყდა.

საკვანძო სიტყვები: *სვანეთი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეგნატე გაბლიანი, გრიგოლ ციცაბაძე, სოლომონ ვადაჭკორია.*

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) ისტორიის კვლევისას სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობას, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასა და რეგიონების საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის პროცესს სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სვანეთი — საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაღალმთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თვითმმართველობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებითა და სოციალური თავისებურებებით ხელისუფლებისთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ცალკეული საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი, სვანეთის განვითარების პრობლემები, ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკა და ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ურთიერთობები დღემდე ფრაგმენტულად არის შესწავლილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა ღონისძიებებს ატარებდა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება რეგიონში ადმინისტრაციული მმართველობის განმტკიცების, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის, განათლების, ჯანდაცვისა და ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918–1921 წწ.) სვანეთის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი ტენდენციების კომპლექსური ანალიზი, აგრეთვე ხელისუფლების მიერ რეგიონის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასება. კვლევა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებს, იმდროინდელ პერიოდულ პრესას, საარქივო დოკუმენტებსა და მემუარულ წყაროებს ეფუძნება, რომელთა საფუძველზეც გაანალიზებულია სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიული რესპუბლიკის ხელი-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სუფლების მიმართ და იმ ისტორიული პროცესების მნიშვნელობა, რომლებმაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება ისტორიული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებს. გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ისტორიულ-აღწერითი, ისტორიულ-ანალიტიკური და წყაროთმცოდნეობრივი კვლევის მეთოდები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) პერიოდში სვანეთის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი მიმართულებების კომპლექსური შესწავლა.

კვლევის შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) ხელისუფლება სვანეთს ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების მნიშვნელოვან ნაწილად განიხილავდა და რეგიონის საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა. დადგინდა, რომ ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ადგილობრივი თვითმმართველობის (ერობების) ჩამოყალიბება, მოსახლეობის დემოკრატიულ არჩევნებში ჩართვა და ეფექტიანი ადმინისტრაციული სისტემის შექმნა წარმოადგენდა.

წყაროების ანალიზმა ცხადყო, რომ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას სვანეთში საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, გზების, განათლების, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებს უთმობდა. გამოვლინდა, რომ რეგიონის პრობლემების შესწავლის მიზნით ცენტრალური ხელისუფლება სვანეთში საკუთარ წარმომადგენლებს სისტემატურად აგზავნიდა, ხოლო მიღებული ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი ხდებოდა.

კვლევის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სვანეთის მოსახლეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებდა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა. შესაბამისად, ბოლშევიკურმა პროპაგანდამ სვანეთში ფართო სოციალური მხარდაჭერის მოპოვება და მყარი დასაყრდენის შექმნა ვერ შეძლო. ამავე დროს, დადგინდა, რომ სვანეთის განვითარების ხელშემშლელ ძირითად ფაქტორებს რთული გეოგრაფიული მდებარეობა, სუსტი ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული გამოწვევები და ქვეყნის მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა წარმოადგენდა.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ სვანეთში განხორციელებული ღონისძიებები რეგიონული განვითარების, დეცენტრალიზაციისა და სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის ამოცანებს მიზანმიმართულად ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესების სრულყოფილად განხორციელება 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შედეგად შეწყდა, მათი როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიაში აქტუალურობას დღემდე ინარჩუნებს და მნიშვნელოვან ისტორიულ მაგალითს წარმოადგენს.

მსჯელობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ქვეყნის რეგიონული განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. რესპუბლიკის ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგრადობა მხოლოდ ცენტრალური მმართველობის გაძლიერებით ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი და აუცილებელი იყო ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მაღალმთიან რეგიონებს, მათ შორის სვანეთს — საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს, რომელიც ადმინისტრაციულად ლეჩხუმის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება რეგიონების განვითარებას სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად განიხილავდა. მისი მიზანი მხოლოდ ადმინისტრაციული კონტროლის გავრცელება არ ყოფილა; მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა სახელმწიფო მართვის პროცესში და თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. სწორედ ამ პოლიტიკის ფარგლებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა — ერობა, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენდა.

1919 წლის 11-18 სექტემბერს გამართულ საქართველოს ერობათა წარმომადგენლების II ყრილობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ყრილობამ დაადგინა, რომ ერობების წვრილ ერთეულებს ამიერიდან „თემი“ უნდა დარქმეოდა, თემის ხმოსანთა ყრილობას — თემის საბჭო, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს — თემის გამგეობა. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავდა თვითმმართველობის უფრო ეფექტიან ორგანიზებას, თუმცა მაღალმთიან რეგიონებში, მათ შორის სვანეთში, ამ პროცესს თან ახლდა სირთულეები, რაც როგორც რთული გეოგრაფიული პირობებით, ისე ადგილობრივი სოციალური ურთიერთობების სპეციფიკით იყო განპირობებული.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ლეჩხუმის მაზრაში 24 სათემო ერობა ფუნქციონირებდა, ხოლო 1918 წელს, თვითმმართველობის არჩევნების პირველ ეტაპზე, ზემო სვანეთიდან 5 ხმოსანი იქნა არჩეული. ეს ფაქტი სვანეთის მოსახლეობის ახალი დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში ჩართვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში თვითმმართველობის პრაქტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი და სვანეთის ისტორიის მკვლევარი ეგნატე გაბლიანი მიუთითებდა, რომ სვანეთის სოფლებში არსებობდა საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ტრადიციული ფორმები. მისი აღწერით, სოფლის საერთო კრება — „სოფლობა“ ადგილობრივი ცხოვრების მარეგულირებელ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რომელიც სოფლის ხელმძღვანელს „მახვშს“ ირჩევდა და თემის შიდა წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავდა: „...სვანეთში თითქმის თითოეულ სოფელს ჰქონდა თავისი საკუთარი თვითმმართველობა. ყოველი კომლიდან თითო კაცი იყრიდა ხოლმე თავს დანიშნულ დღეს იმ ადგილას, რომელიც სოფლის მიერ ამ დანიშნულებისათვის იყო სადმე ეკლესიის მახლობლად და სახელად ეწოდებოდა „სვიფი“. ამ ერთ სოფლის ყრილობას ჰქვია დღემდის „სოფლობა“... ეს სასოფლო ყრილობა არჩევდა „სოფლის მახვშს“, თავ კაცს და მისი თავმჯდომარეობით გამოჰქონდა ყოველგვარი დადგენილებები თავისი ცხოვრების მოწესრიგებისა და ურთიერთშორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ. ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ, სასოფლო ყრილობა შეადგენდა ერთგვარ საკანონმდებლო ორგანოს ამა თუ იმ სოფლისათვის, ხოლო ამ კანონების ცხოვრებაში გატარება ევალებოდა ზემოხსენებულ სასოფლო ყრილობის მიერ ამორჩეულ სოფლის „მახვშის“ და ყოველი თემიდან მის დასახმარებლად დანიშნულ თითო კაცს...“ (გაბლიანი, 1927:62-63).

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დანერგილი თვითმმართველობის სისტემა სვანეთისთვის სრულიად უცხო მოდელს არ წარმოადგენდა. პირიქით, იგი გარკვეულწილად ადგილობრივ საზოგადოებრივ გამოცდილებას ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა ტრადიციული თვითორგანიზაციის ფორმების თანამედროვე დემოკრატიულ ინსტიტუტებთან შერწყმას. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცება ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებას მოითხოვდა.

სვანეთის მოსახლეობის პოლიტიკური დამოკიდებულება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოსადმი, ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღეებიდან სვანეთში ბოლშევიკებმა ფართო სოციალური მხარდაჭერის მოპოვება ვერ შეძლეს. სვანები საქართველოს ხელისუფლებას ერთადერთ კანონიერ მთავრობად აღიარებდნენ და ბოლშევიკური მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ (გაზ. „ერთობა“, #151, 1918:1). ეს გარემოება მიუთითებს, რომ სვანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ნაწილი საკუთარ ეროვნულ და პოლიტიკურ ინტერესებს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს უკავშირებდა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში სვანეთის პრობლემების გადაწყვეტის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი, საზოგადო მოღვაწე და სვანეთის ისტორიის მკვლევარი ეგნატე გაბლიანი. როგორც თავისუფალი სვანეთის დელეგაციის თავმჯდომარე, იგი თბილისს ეწვია და ქალაქის თვითმმართველობას სტუმართმოყვარეობისა და პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა (გაზეთი „სალი კლდე“, #34, 1919:2). მისი საქმიანობა ცხადყოფს, რომ სვანეთის წარმომადგენლები ცდილობდნენ რეგიონის ინტერესების წარმოჩენას როგორც ადგილობრივ საზოგადოებაში, ისე ცენტრალური ხელისუფლების წინაშე.

ეგნატე გაბლიანის საქმიანობა სვანეთის პრობლემების სახელმწიფო დონეზე წარმოჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი იყო. მისი მონაწილეობა თავისუფალი სვანეთის დელეგაციის საქმიანობაში მიუთითებს, რომ რეგიონის წარმომადგენლები არა მხოლოდ ადგილობრივი საკითხების მოგვარებას, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესში სვანეთის ინტეგრაციასაც ცდილობდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესწავლასა და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა. ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ რეგიონების განვითარება მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით ვერ განხორციელდებოდა და აუცილებელი იყო ადგილობრივი რესურსების გამოვლენა და მათი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ჩართვა. ამ თვალსაზრისით სვანეთი, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

1919 წლის 2 აგვისტოს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე, სვანეთში ოქროს მოსაპოვებლად ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 200.000 მანეთი გამოეყო (საქართველოს დამფუძნებელი კრება, 2019:130). აღნიშნული გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება სვანეთს განიხილავდა არა მხოლოდ რთული სოციალური და ადმინისტრაციული პრობლემების მქონე რეგიონად, არამედ ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სივრცედ, რომლის ათვისებაც ქვეყნის საერთო განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა.

ეკონომიკური განვითარების პარალელურად, სახელმწიფოს წინაშე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანაც იდგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, მსოფლიოში გავრცელებული ე. წ. „ისპანკას“ ეპიდემიის ფონზე, ხელისუფლებამ ქვეყნის მასშტაბით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დაიწყო.

საქართველოს რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის საგანგებო რწმუნებულად მედიცინის დოქტორი გოპაძე დაინიშნა, რომელსაც რესპუბლიკის მასშტაბით სანიტარული მიმართულების ყველა უწყება და დაწესებულება დაექვემდება-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რა. მისი ბრძანებით, ქალაქებისა და ერობების თვითმმართველობებს, თავიანთი საექიმო-სანიტარული ორგანოების საშუალებით, გადამდები სენით დაავადებულთა გამოვლენა, მათი ბინიდან საავადმყოფოში გადაყვანა, საცხოვრებელი ადგილისა და ნივთების დეზინფექცია დაევალათ. ამასთანავე, დაავადებულთა გარშემო მყოფი პირები შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღარიბ მოსახლეობას — მათ სამკურნალო დახმარება და საჭირო მედიკამენტები უნდა მიეღოთ. მთავრობის ოფიციალური ბრძანება #1 სანიტარული წესების დარღვევის, ურჩობისა და მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში საგანგებო რწმუნებულს უფლებამოსილებას ანიჭებდა, დამრღვევები დაეჯარიმებინა, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა ან სხვა სამართლებრივი ზომებისთვის მიემართა (გაზეთი „ერთობა“, #30, 1919:3).

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებოდა. ექიმთა რაოდენობა ქვეყანაში არასაკმარისი იყო. საქართველოს ექიმთა პირველ ყრილობაზე მხოლოდ 500 ექიმი ირიცხებოდა, რომელთა უმრავლესობა ქალაქებში იყო თავმოყრილი, რის გამოც პროვინციები ფაქტობრივად სამედიცინო მომსახურების დეფიციტს განიცდიდა. მცირე იყო საავადმყოფოებისა და საფერშლო დაწესებულებების რაოდენობაც. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თბილისის მაზრაში მხოლოდ ორი საავადმყოფო და ორი საფერშლო პუნქტი არსებობდა, ხოლო რეგიონებში მდგომარეობა კიდევ უფრო რთული იყო. როგორც კავკასიის სამკურნალო გამგეობის ანგარიშებიდან ირკვევა, დიაგნოზების 60-65%-ს ექიმები ადგენდნენ, დანარჩენი ნაწილი კი ფერშლების კომპეტენციას განეკუთვნებოდა (ლომოური, 1919:3).

სვანეთის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 მარტის სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის მე-20 პუნქტად შეტანილი იყო დეკრეტი სვანეთის სამკურნალო დაწესებულებათა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება აცნობიერებდა მაღალმთიანი რეგიონების სპეციფიკურ საჭიროებებს და შესაბამისი ადმინისტრაციული და ფინანსური მექანიზმების შექმნას ცდილობდა. თუმცა, არსებული რესურსები სვანეთის მოსახლეობის მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობდა. ეგნატე გაბლიანი თავის ნაშრომში კრიტიკულად აფასებდა იმ პერიოდის სამედიცინო მდგომარეობას და აღნიშნავდა: „მენშევიკების დროს სვანეთს ექიმი არ უნახავს. მართალია, მაშინ სამ ადგილას გაიხსნა საფერშლო პუნქტები, მაგრამ საჭირო წამლების უქონლობის გამო, ისინი გულზე ხელდაკრეფილი ისხდნენ და ხალხის ჯანმრთელობისთვის ვერაფერს აკეთებდნენ...“ (გაბლიანი, 1927:156).

ე. გაბლიანის ეს შეფასება, მიუხედავად მისი კრიტიკული ხასიათისა, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სვანეთის ყოველდღიური მდგომარეობის შესას-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

წავლად და აჩვენებს იმ სირთულეებს, რომელთა დაძლევაც ახლად შექმნილ სახელმწიფოს უმოკლეს პერიოდში უწევდა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში ეპიდემიას პანდემიის სახე არ მიუღია (სარალიძე, 2023:323). ეს გარემოება მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ შექმნილმა სანიტარულმა მექანიზმებმა, მიუხედავად არსებული ფინანსური და ინსტიტუციური შეზღუდვებისა, გარკვეული ეფექტიანობა გამოავლინა.

სვანეთის სოციალური მდგომარეობის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გამოწვევების გათვალისწინებას, რომელთა წინაშეც რეგიონი ისტორიულად იდგა. გეოგრაფიული იზოლაცია, რთული ბუნებრივი პირობები, სუსტი სატრანსპორტო კავშირები და უსაფრთხოების პრობლემები სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელებას მნიშვნელოვნად აფერხებდა. სწორედ ამ გარემოებებს აღწერს დამფუძნებელი კრების წევრი სოლომონ ვადაჭკორია, რომლის შეფასებაც ნათლად წარმოაჩენს სვანეთის როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ თავისებურებებს: „ზემო სვანეთი რომ მართლაც შესანიშნავია მრავალმხრივ, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ევროპელებს, სვანეთის შესახებ თითქმის მეტი სმენიათ, ვიდრე თვით საქართველოს შესახებ. სვანეთი იტაცებდა ევროპიელებს თავისი მდგომარეობით, მაღალი, თოვლ-ყინვიანი ლამაზი მთებით, როგორიც არის თუნდაც „უშბა“, რომლის წვეროზე ასვლა მათ უკვე უსინჯავთ და ზოგს მიუღწევია კიდეც. თვით სვანებიც არ შეიძლება ჩავთვალოთ სხვებზე ჩამორჩენილად. მათ უხდებოდათ ზამთრობით სხვადასხვა ადგილებში სამუშაოდ წასვლა და ეს გარემოება მათზე შესაფერ გავლენასაც ახდენდა. აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი სვანები“ უფრო დაახლოებულნი არიან რაჭა-ლეჩხუმთან და ამიტომ ქართულად ლაპარაკობენ, ხოლო სადაღეშქელიანო სვანები კი სამეგრელოსთან და ამიტომ მეგრული უკეთესად იციან. მეზობლობაც წინათ არ ჰქონდათ ცუდი, მაგრამ ამ ორი წლის წინათ, როცა საერთო ანარქია იყო თითქმის ყველგან, მეზობლობაში მოხდა საქონლის გატაცება, რასაც შედეგად მოჰყვა მტრობა და მკვლელობაც კი. სვანები საერთოდ შრომის მოყვარენი არიან და მშვიდობიანობის მოსურნენიც, მაგრამ მათშიაც ურევია თავზეხელაღებული ახალგაზრდები, რომელთაც შიშის ქვეშ ჰყავთ ხალხი. ამათი ალაგმვა ხალხს საკუთარი ძალით ვერ მოუხერხებიათ და იძულებული არიან თვითონაც იარაღი იქონიონ ყოველთვის და ყოველგან. იქ მღვდლებსა და მასწავლებლებსაც ვერ ნახავთ, რომ მხარზე თოფი არ ჰქონდეს გადადებული. ძველი ჩვეულება — „სისხლის აღება“ იქ დღესაც ძალაშია და ამის შედეგი მართლაც საშინელებაა — მეზობელი მეზობელს მტრობს, თემი თემს და ერთმანეთის სისხლსა ღვრიან. კვირა არ გავა ისე, რომ რამდენიმე მკვლელობა არ მოხდეს ამ ნიადაგზე...“ (ვადაჭკორია, 1920:3).

სოლომონ ვადაჭკორიას შეფასება ნათლად წარმოაჩენს იმ რთულ სოციალურ გარემოს, რომელშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას სვანეთში სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განმტკიცება უწევდა. რე-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

გიონში არსებული უსაფრთხოების პრობლემები, გეოგრაფიული იზოლაცია და ტრადიციული სოციალური ურთიერთობების თავისებურებები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. ამ პირობებში ხელისუფლების ამოცანა მხოლოდ წესრიგის დამყარება არ იყო; აუცილებელი ხდებოდა ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს გაითვალისწინებდა და სვანეთის მოსახლეობას საერთო სახელმწიფოებრივ პროცესებში უფრო აქტიურად ჩართავდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა, რეგიონის მდგომარეობა და მოსახლეობის პრობლემები ადგილზე შეესწავლა. ამ მიზნით, სვანეთში მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები ხშირად იგზავნებოდნენ. ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ გადაწყვეტილებები მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ შემუშავებულიყო და რეგიონში არსებული რეალური ვითარება უშუალო დაკვირვებით შეესწავლათ.

სვანეთის მოსახლეობას კრიმინოგენური ვითარება, უგზოობა და გახშირებული საქონლის ქურდობა განსაკუთრებით აწუხებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ სვანეთის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ადგილობრივი ინიციატივებით ვერ განხორციელდებოდა და ცენტრალური ხელისუფლების უშუალო ჩართულობას საჭიროებდა. სწორედ ამ მიზნით, მთავრობის წარმომადგენლები რეგიონის მდგომარეობას პერიოდულად ადგილზე ეცნობოდნენ, არსებულ გამოწვევებს აფასებდნენ და შესაბამისი ღონისძიებების გატარების გზებს განსაზღვრავდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ მაღალმთიანი რეგიონების გაძლიერება როგორც სოციალური სტაბილურობის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი იყო. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო სვანეთის მოსახლეობის სრულფასოვანი ჩართვა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, რაც მათი პრობლემების შესწავლასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა.

1920 წლის ივნისში, თბილისში მყოფი სვანების წარმომადგენელთა ჯგუფი დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს შეხვდა და სვანეთის დასახმარებლად საჭირო ზომების მიღება სთხოვა (გაზეთი „ერთობა“, #205, 1920:3). აღნიშნული შეხვედრა მიუთითებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ პრობლემებს უკვე სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის გზით აყენებდა და მათი გადაწყვეტის უზრუნველყოფას ცდილობდა.

1920 წლის სექტემბრის დასაწყისში, სვანეთის მოსახლეობის მდგომარეობის გასაცნობად ადგილზე გაემგზავრა რუბენ ყიფიანი, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრი ვლასა მგელაძე ახლდა. მათი მისიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობისგან იარაღის ამოღება იყო. ამ მიზნით, დეპუტატებმა მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ტარეს. მოსახლეობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ სვანები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობით ძირითადად კმაყოფილი იყვნენ.

1920 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მივლენილმა დამფუძნებელი კრების წევრებმა სვანეთის წარმომადგენელთა საერთო ყრილობა მოიწვიეს. მისი მიზანი რეგიონის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების ადგილზე განხილვა და მათი მოგვარების გზების განსაზღვრა იყო. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი აჩვენებს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება არა მხოლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებას, არამედ ადგილობრივ საზოგადოებასთან უშუალო დიალოგის დამყარებას ცდილობდა.

სვანეთში ყოფნისას, მთავრობის წარმომადგენლები უსაფრთხოების რთულ მდგომარეობას უშუალოდ გაეცნენ. იმ პერიოდში რეგიონში იმყოფებოდა უცხოელი ჟურნალისტი ქალი — ოდეტ კიუნი, რომელიც სვანეთში ცხენით მოგზაურობის დროს ადგილობრივებმა დააყაჩაღეს.

ოდეტ კიუნი (Odette Zoé Keun, 1888-1978 წწ.) ჰოლანდიელი ჟურნალისტი, მწერალი და მთარგმნელი იყო, რომელიც ფრანგულად და ინგლისურად საუბრობდა. იგი ოსმალეთის იმპერიაში დაიბადა. 1920 წელს ოდეტ კიუნი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოგზაუროდ ჩამოვიდა. საქართველოში მოგზაურობის ისტორია მან აღწერა ფრანგულ ენაზე დაწერილ 287 გვერდიან წიგნში: „ოქროს საწმისის ქვეყანაში (დამოუკიდებელ მენშევიკურ საქართველოში)“, რომელიც 1923 წელს პარიზში გამოიცა.

სვანეთში ყოფნის დროს, დაყაჩაღებამდე 10 დღით ადრე, ოდეტ კიუნი პირადად შეხვდა იქ მყოფ დამფუძნებელი კრების წევრებს, რომლებიც მოგვიანებით უშუალოდ იყვნენ ჩართული მისი გათავისუფლების საქმეში. რუბენ ყიფიანი აღნიშნავდა: „...ყაჩაღებმა იარაღი ჩაგვაბარეს და მწერალი ქალი ხელმეორედ მემშვიდობება მხიარული...“ (გაზეთი „ერთობა“, #205, 1920:3).

აღნიშნული შემთხვევა ერთგვარად ასახავს იმ წინააღმდეგობრივ რეალობას, რომელშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას რეგიონული პოლიტიკის განხორციელება უწევდა: ერთის მხრივ, სვანეთი საერთაშორისო ინტერესის მქონე უნიკალური კულტურული და ბუნებრივი სივრცე იყო, ხოლო მეორეს მხრივ, რეგიონში ჯერ კიდევ არსებობდა უსაფრთხოების ისეთი პრობლემები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას მოითხოვდა.

სვანეთის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას განათლების სისტემის გაფართოება წარმოადგენდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება განათლებას არა მხოლოდ კულტურული განვითარების საშუალებად, არამედ სახელმწიფოებრივი მოდერნიზაციისა და მოქალაქეთა ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილავდა. განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმა ეტაპობრივად ხორციელდებოდა.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

1921 წლის 12 იანვარს განათლების მინისტრის მოადგილემ ნოე ცინცაძემ მასწავლებელთა ყრილობაზე მოხსენება გააკეთა, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1920 წლისთვის, ბათუმის ოლქის გამოკლებით, საქართველოში სულ 1745 სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც 4141 მასწავლებელი ასწავლიდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 138.651-ს შეადგენდა. უმაღლესი დაწყებითი სკოლების რაოდენობა 179 იყო, სადაც 1094 მასწავლებელი და 23.691 მოსწავლე ირიცხებოდა.

ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში, რომლის შემადგენლობაშიც სვანეთი შედიოდა, პირველდაწყებითი სკოლების რაოდენობა 60-ს შეადგენდა, მასწავლებელთა რაოდენობა — 94-ს, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა — 2.178-ს. იმავე მაზრაში ფუნქციონირებდა 4 უმაღლესი დაწყებითი სკოლა, სადაც 21 მასწავლებელი ასწავლიდა და 316 მოსწავლე სწავლობდა (გაზეთი „ერთობა“, #13, 1921:2-3).

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება განათლების ქსელის გაფართოებას და მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის გავრცელებას ცდილობდა. სვანეთისთვის სკოლების არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან განათლება ხელს უწყობდა როგორც მოსახლეობის კულტურულ განვითარებას, ისე სახელმწიფოებრივ ინტეგრაციას.

სვანეთის წინაშე არსებული ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა კვლავ გეოგრაფიული იზოლაცია იყო. გზების არასაკმარისი განვითარება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ადმინისტრაციულ კავშირს და ქვეყნის საერთო სივრცეში მოსახლეობის ინტეგრაციას მნიშვნელოვნად აფერხებდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევდა.

1921 წლის 26 დეკემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში საგანგებო თათბირი გაიმართა, სადაც სპეციალური დადგენილება მიიღეს, რომლის მიხედვით, 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ყველა თემი სამაზრო ცენტრს, ხოლო სამაზრო ცენტრები რესპუბლიკის მთავარ ქალაქს გზატკეცილებით უნდა დაკავშირებოდა.

ყველა სამაზრო ერობას 1921 წლის პირველი მარტისთვის საგზაო დეპარტამენტში შესაბამისი გეგმა უნდა წარედგინა, რომელსაც თან უნდა დართოდა თითოეული მაზრის ერობების გზების რუკა, სადაც გასაყვანი ან შესაკეთებელი გზები მითითებული იქნებოდა. აღნიშნული სამუშაოებისთვის რესპუბლიკის ხაზინიდან საგზაო სამინისტროს 500 მილიონი მანეთი გამოეყო, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ერობებს თანხა სახელმწიფო კონტროლის საგზაო სექციასთან შეთანხმებით გადაეცემოდა (გაზეთი „ერთობა“, #4, 1921:4).

ამრიგად, გზების განვითარების პროგრამა მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტი არ ყოფილა. იგი სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობის განმტკიცების, ადმინისტრაციული მართვის გაუმჯობესებისა და მაღალმთიანი რეგიონების

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკა სვანეთის მიმართ მხოლოდ ადმინისტრაციული მართვის საკითხებით არ შემოიფარგლებოდა. იგი კომპლექსურ სახელმწიფოებრივ მიდგომას წარმოადგენდა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, ეკონომიკური რესურსების ათვისებას, სოციალური პრობლემების შესწავლას, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაფართოებას, ასევე, ინფრასტრუქტურული კავშირების გაუმჯობესებას მოიცავდა.

სვანეთის მაგალითი განსაკუთრებით ნათლად აჩვენებს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფო იდგა. ერთის მხრივ, ხელისუფლებას ისტორიულად ჩამოყალიბებული რეგიონული იზოლაცია, უსაფრთხოების პრობლემები და სოციალური სირთულეები უნდა დაეძლია; მეორეს მხრივ კი, აუცილებელი იყო დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ადგილობრივი საზოგადოების ტრადიციებთან შესაბამისობაში დამკვიდრება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შექმნილი თვითმმართველობის სისტემა სვანეთისთვის უცხო ადმინისტრაციულ მოდელს არ წარმოადგენდა. ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული ფორმები — სოფლის კრება, მახვშის ინსტიტუტი და თემის თვითორგანიზაცია, თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დასანერგად გარკვეულ საფუძველს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების პოლიტიკა არა მხოლოდ ცენტრალიზებული მართვის გავრცელებას, არამედ ადგილობრივი საზოგადოების სახელმწიფოებრივ პროცესებში ჩართვას ეფუძნებოდა.

სვანეთის პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ადგილობრივმა საზოგადო მოღვაწეებმა, ისე სახელმწიფო წარმომადგენლებმა. ეგნატე გაბლიანის საქმიანობა, სვანეთის დელეგაციების ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრთა — სოლომონ ვადაჭკორიას, რუბენ ყიფიანისა და ვლასა მგელაძის მისიები მიუთითებს, რომ რეგიონსა და სახელმწიფოს შორის მუდმივი კომუნიკაციის მცდელობა არსებობდა.

ეკონომიკური მიმართულებით ხელისუფლება ცდილობდა სვანეთის ბუნებრივი რესურსების შესწავლასა და გამოყენებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო პოლიტიკის ნაწილი იყო. ოქროს მოპოვების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსები მიუთითებს, რომ სახელმწიფო მაღალმთიან რეგიონებს განიხილავდა არა როგორც პერიფერიულ სივრცეებს, არამედ როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელ ნაწილს.

სოციალურ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებებს. მართალია, რესპუბლიკის მოკლე არსებობის პერიოდში სრულფასოვანი სამედიცინო და საგანმანათლებლო ქსელის შექმნა ვერ მოხერხდა, თუმცა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე მიუთითებს. ეპიდემიის პირობებში სანიტარული ღონისძიებები, სვანეთის სამკურნალო დაწესებულებათა განვითარებაზე ზრუნვა, სკოლების რაოდენობის ზრდა, განათლების გავრცელების მცდელობა, ტრადიციული რეგიონების სახელმწიფოებრივ, სოციალურ და კულტურულ სივრცეში ინტეგრაციისთვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მცდელობას წარმოადგენდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ინფრასტრუქტურის განვითარებას ენიჭებოდა. სვანეთის გეოგრაფიული იზოლაცია სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა. გზების მშენებლობის გრძელვადიანი პროგრამა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესებას, არამედ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში დაკავშირებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის მძიმე ისტორიული პირობები, რომლებშიც სახელმწიფო არსებობდა. დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში ქვეყანას უწევდა როგორც შიდა პოლიტიკური პრობლემების, ისე საგარეო სამხედრო საფრთხეების დაძლევა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა რეგიონული განვითარების ისეთი საფუძვლების შექმნას, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს გრძელვადიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა.

თუმცა, 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობამ და ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნის ანექსიამ ეს პროცესი მკვეთრად შეაფერხა. საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა ათწლეულებით შეჩერდა, ხოლო დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიერ დაწყებული პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სოციალური გარდაქმნების გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სვანმა ხალხმა ერთ-ერთი პირველი წინააღმდეგობა გაუწია წითელი არმიის შემოჭრას. სვანეთის მოსახლეობამ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია. ბოლშევიკებმა რეგიონის საბოლოო დამორჩილება მხოლოდ მოტყუების გზით შეძლეს, როდესაც თავდაპირველად იძულებული გახდნენ სვანეთიდან ჯარი გაეყვანათ, შემდეგ კი დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანით აჯანყებას ბოლო მოუღეს (მანველიშვილი, 1984:329-330).

სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორია. მიუხედავად რეგიონის რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, სვანები დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მხარდამჭერ ძალად დარჩნენ. ეს გარემოება მიუთითებს, რომ პირველი რესპუბლიკის პოლიტიკამ სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცება იმ რეგიონშიც კი შეძლო, სადაც რთული გეოგრაფიული და სოციალური პირობები არსებობდა.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში სვანეთში განხორციელებული პოლიტიკა რეგიონული განვითარების, დემოკრატიული თვითმმართველობისა და სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის ერთიან პროცესს წარმოადგენდა. ხელისუფლების მცდელობები: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, მოსახლეობის წარმომადგენლობით ორგანოებში ჩართვა, ადმინისტრაციული მექანიზმების გაძლიერება, ეკონომიკური შესაძლებლობების გამოვლენა, განათლებისა და ჯანდაცვის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა — ცხადყოფს, რომ სვანეთი განიხილებოდა არა როგორც სახელმწიფოსგან მოწყვეტილი პერიფერია, არამედ საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული სივრცის განუყოფელი ნაწილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკის მთავარი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობა ტრადიციული საზოგადოების დემოკრატიულ სახელმწიფოში ინტეგრაციას ადგილობრივი თავისებურებების შენარჩუნებითა და საერთო სახელმწიფოებრივი მიზნების ფარგლებში ცდილობდა. ამგვარი მიდგომა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა, რაც სვანეთის, როგორც მაღალმთიანი და ეთნოკულტურული თავისებურებებით გამორჩეული რეგიონის, ისტორიული განვითარების შესწავლისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გაბლიანი 1927: ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1927.

ერთობა 1918: რაჭა და სვანეთი, გაზეთი „ერთობა“, #151, შაბათი, 20 ივლისი, თბილისი, 1918.

ერთობა 1919: ბრძოლა გადამდებ სენთან, გაზეთი „ერთობა“, #30, პარასკევი, 7 თებერვალი, თბილისი, 1919.

ერთობა 1919: ი. ლომოური, ერობები და გადამდებ სენთან ბრძოლა, „ერთობა“, #46, 27 თებერვალი, ხუთშაბათი, თბილისი, 1919.

ერთობა 1920: ს. ვადაჭკორია, ზემო სვანეთის გაჭირვება, გაზეთი „ერთობა“, #144, სამშაბათი, 29 ივნისი, თბილისი, 1920.

ერთობა 1920: გაზეთი „ერთობა“, #205, ხუთშაბათი, 9 სექტემბერი, თბილისი, 1920.

ერთობა 1921: საგზაო საქმეთა განვითარება, გაზეთი „ერთობა“, #4, 6 იანვარი, ხუთშაბათი, თბილისი, 1921.

ერთობა 1921: სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან, გაზეთი „ერთობა“, #13, 19 იანვარი, ოთხშაბათი, თბილისი, 1921.

მანველიშვილი 1984: ა. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან - ფრანცისკო, 1984.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სალი კლდე 1919: გაზეთი „სალი კლდე“, #34, 18 თებერვალი, სამშაბათი, თბილისი, 1919.

სალი კლდე 1919: ა. გაბლიანი, სვანეთის საჭიროებანი, გაზეთი „სალი კლდე“, #45, ორშაბათი, 28 აპრილი, თბილისი, 1919.

სალი კლდე 1919: ცინცაბაძე, ვადაჭკორია, ნიჟარაძე, 1919 — გ. ცინცაბაძე, ს. ვადაჭკორია, რ. ნიჟარაძე, სვანეთის მდგომარეობა, მოხსენება საგანგებო კომისიისა, გაზ. „სალი კლდე“, #58, 15 ივლისი, ორშაბათი, თბილისი, 1919.

სარალიძე 2023: ლ. სარალიძე, ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)“, გამომცემლობა „ფავორიტი“, ISBN 978-9941-8-5911-3, DOI https://doi.org/10.5281/zenodo.10009034. მონოგრაფია, თბილისი, 2023.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2019: საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 28 ივლისი-11 ნოემბერი, ტომი III, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2019.

References:

Gabliani 1927: E. Gabliani, Old and New Svaneti, Tbilisi, 1927 (In Georgian);

Ertoba 1918: Racha and Svaneti, "Ertoba" newspaper, #151, Saturday, July 20, Tbilisi, 1918 (In Georgian);

Ertoba 1919: The fight against infectious disease, "Ertoba" newspaper, #30, Friday, February 7, Tbilisi, 1919 (In Georgian);

Ertoba 1919: Lomouri, 1919 - i. Lomouri, Nations and the fight against infectious disease, "Ertoba", #46, February 27, Thursday, Tbilisi, 1919 (In Georgian);

Ertoba 1920: Vadachkoria, 1920 Vadachkoria, the plight of Zemo Svaneti, "Ertoba", newspaper, #144, Tuesday, June 29, Tbilisi, 1920 (In Georgian);

Ertoba 1920: "Ertoba" newspaper, #205, Thursday, September 9, Tbilisi, 1920 (In Georgian);

Ertoba 1921: Development of road affairs, "Ertoba" newspaper, #4, January 6, Thursday, Tbilisi, 1921 (In Georgian);

Ertoba 1921: From the report of the Ministry of Public Education, "Ertoba" newspaper, #13, January 19, Wednesday, Tbilisi, 1921 (In Georgian);

Manvelishvili 1984: A. Manvelishvili, Russia and Georgian Independence, San Francisco, 1984 (In Georgian);

National Library of the Parliament of Georgia 2019: Constituent Assembly of Georgia, July 28-November 11, 1919, Volume III, National Library of the Parliament of Georgia, Tbilisi, 2019 (In Georgian);

"Sali Klede“ 1919: newspaper, #34, February 18, Tuesday, Tbilisi, 1919 (In Georgian);

"Sali Klede“ 1919: A. Gabliani, the needs of Svaneti, "Sali Klede" newspaper, #45, April 28, Monday, Tbilisi, 1919 (In Georgian);

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

"Sali Klede“ 1919: G. Tsintsabadze, S. Vadachkoria, R. Nizharadze, The situation in Svaneti, report of the extraordinary commission newspaper "Sally Klede", #58, July 15, Monday, Tbilisi, 1919 (In Georgian);

Saralidze 2023: L. Saralidze, Batumi during the period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921)", publishing house "Favorite", ISBN978-9941-8-5911-3,DOI https://doi.org/10.5281/zenodo.10009034. Monograph, Tbilisi, 2023 (In Georgian).

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026